კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.is.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 25 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

www.is.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
23.81%
69.50%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
50.00%
34.75%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60.00%
54.50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
32.14%
17.06%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
28.57%
22.67%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7.69%
19.00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0.00%
0.00%
0.00%
20.00%
40.00%
60.00%
80.00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამსახურის ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
  ამასთან, სამსახურის მოქმედი დებულების თანახმად სამსახურის უფროსს საქართველოს ფინანსთა მინისტრის საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებული წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. სასურველია, ხსენებულთან დაკავშირებით გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა.

- არ მოიძიება სამსახურის უფროსის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, აგრეთვე, მათი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილებები სათაურად „სამსახურის უფროსი“ და „მოადგილეები“, სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა სახის ზემოაღნიშნული ინფორმაცია:



2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სამსახურის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით), სამსახურის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფაქსის ნომერი.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია სამსახურის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიულ-ოპერატიული საგამოძიებო ორგანოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სამსახურის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სამსახურის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია;

ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „ისტორია“ ცარიელია:

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ამოცანების აღწერა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანებისა აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის ტერიტორიული ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოების შესახებ შემდეგი სახის სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ტერიტორიული ოპერატიულ-საგამოძიებო ძირითადი ამოცანების აღწერა;
- არ მოიძიება ტერიტორიული ოპერატიულ-საგამოძიებო ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება ტერიტორიული ოპერატიულ-საგამოძიებო საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის (ქუჩების) აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- არ მოიძიება ტერიტორიული ოპერატიულ-საგამოძიებო ელექტრონული ფოსტის მისამართები და ფაქსის ნომრები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე)-განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამსახურის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, (მათ შორის სტატისტიკური აღრიცხვისა და ანალიტიკური სამმართველოს მიერ მომზადებული საგამოძიებო დეპარტამენტის ორგანოების შემაჯამებელი ანგარიშები), სტატისტიკური მონაცემები, (მათ შორის სტატისტიკური აღრიცხვისა და ანალიტიკური სამმართველოს მიერ შემუშავებული სამსახურის სისტემაში დანაშაულობათა სტატისტიკური ანალიზი), პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ცარიელია ვებ-გვერდზე არსებული შემდეგი განყოფილებები:

- განყოფილება, სათაურად „ისტორია“:

- განყოფილება (ბანერის სახით), სათაურად „ისტორია“:



- განყოფილება, სათაურად „არქივი“:

- განყოფილება, სათაურად „საკანსიები სტაჟირება“:



ამასთან, არ იხსნება ვებ-გვერდზე არსებული განყოფილებები, სათაურად „სტატისტიკა“:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამსახურის უფროსისა და მისი მოადგილეების გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები:

17-ოქტომბერი-2011

ელექტროსასწორეების გადაკეთების ფაქტზე სამართალდამცავებმა ორი პირი დააკავეს

მომხმარებელთა მოტყუებისა და კომპიუტერულ სისტემაში არამართლზომიერი შეღწევა – გადაკეთების ფაქტებზე

ვრცლად

06-ოქტომბერი-2011

დაკავება საგადასახადო დოკუმენტების გაყალბების ფაქტზე

ყალბი საგადასადო – საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება, გასაღება, გაყალბების ფაქტზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკავებულები არიან შპს „კანებონი" –ს ხელმძღვანელი პირები ნინო ანთაძე და ნოდარ ანთაძე

ვრცლად

26-სექტემბერი-2011

საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკური დანაშაულის საკითხებზე

ევროკავშირის მხარდაჭერით, პირველად საქართველოში, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ეკონომიკური დანაშაულის საგამოძიებო სისტემა საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, საგამოძიებო პროცესის პრობლემატური ასპექტები".

ვრცლად

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები", სადაც განთავსდებოდა სამსახურის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

12. ვებ-გვერდზე არ მოიძება სამსახურის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამსახურის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები", სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური. აგრეთვე, სასურველია, მოიძიებოდეს ცნობები იმ

პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური.

14. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამსახურის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „იურიდიული დოკუმენტები“ განთავსებული თითქმის ყველა სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, მათ შორის, ამავე განყოფილებაში არსებული ქვე-განყოფილების „კანონქვემდებარე აქტები“ განთავსებული სამსახურის დებულება:

მოცემულ ქვე-განყოფილებაში სასურველია, განთავსდეს აგრეთვე, სამსახურის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; ასევე, სამართლებრივ საკითხთა და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ მომზადებული სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები, კადრების სამმართველოს მიერ შემუშავებული სამსახურის შინაგანაწესი და სამსახურის უფროსის ბრძანებების რეესტრი, სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათ შორის სპეციალური დანიშნულების რაზმისა და სპეციალურ გამოკვლევათა და ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსების და მათი მოადგილეების უფლებამოსილებების განმსაზღვრელი ბრძანება.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სამსახურის დებულება და შინაგანაწესი სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ (ქვე-)განყოფილებებში.

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამსახურში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამსახურსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამსახურსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება სამსახურის განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სამსახურის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა გაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/finanstasagamodziebo_shesyidvebi.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება, სათაურად „ვაკანსიები სტაჟირება“ თუმცა მისი შიგთავსი ცარიელია:



სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამსახურისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამსახურის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის 23 მაისი მდგომარეობით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო სამსახურებრივი უფლებოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა (სახელი და გვარი) სა თანამდებობის სახელწოდება), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/finanstasagamodziebo_tanamdebobispirebi.pdf);

- არ მოიძიება სამსახურის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითებების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამსახურის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/finanstasagamodziebo_xelfasipremia.pdf);

- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:


ტექნიკური პარამეტრების გამართულობა და არსებობა ოფიციალურ ვებ-გვერდზე
37.43%
62.57%
www.is.ge ელ-მმართველობის ხარისხი


ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
60.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52.94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
0.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33.33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
65.00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0.00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
0.00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
0.00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50.00%
0
0.2
0.4
0.6
0.8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის რუქა დაპროექტებულია ძალიან რთულად, მისი აღქმა საკმაოდ რთულია არასტანდარტული სტრუქტურის გამო, ასევე აღქმას ართულებს ის ფაქტი, რომ ნახევარი რუქა ქართულად არის მოცემული ნახევარი კი ინგლისურად:

- **ძიება**

ძიების მოდული თუ ინფორმაცია ვერ მოიძია აუცილებლად უნდა წერდეს შესაბამის მესიჯს, აქ კი მსგავს შემთხვევებში ცარიელი ფურცელი გამოდის:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის პირველ გვერდზე იტვირთება საკმაოდ ბევრი ინფორმაცია, რის გამოც პირველი გვერდის სრულად ჩატვირთვა გვიანდება, ასევე ცნობილია, რომ მომხმარებელს უჭირს დიდი ინფორმაციის აღქმა:

ვიდეო გალერეაში ამჟამად არის ერთი ვიდეო. ვიდეოს მოცულობა იმდენად, დიდია რომ სტანდარტული ინტერნეტ პაკეტის მომხმარებლებს უჭირთ ვიდეოს ჩატვირთვა:



ვებ-გვერდის ინგლისურ ვერსიაში გვხვდება ქართული ლოგო ქართული წარწერით:

ისეთი გვერდები, რომლებიც დამუშავების პროცესში არიან, აუცილებლად უნდა დაიწეროს შესაბამისი მესიჯი და არ უნდა იყოს ცარიელ გვერდებად წარმოდგენილი:



- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო გვერდზე საქართველოს რუქა არ ჩანს სრულად, აფხაზეთის ნაწილი ჩამოჭრილი აქვს:

ვებ-გვერდის საკონტაქტო გვერდზე არ დევს არც ერთი ელექტრონული ფოსტა, რაც ართულებს ონლაინ კომუნიკაციას:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის ინგლისური ვერსიიდან ლოგოზე დაჭერით ვხვდებით ქართულ ვერსიაში რაც უხეში შეცდომაა:

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე დაშვებულია მნიშვნელოვაინ პროგრამული შეცდომა:

Server Error in '/' Application.

Runtime Error

Description: An application error occurred on the server. The current custom error settings for this application prevent th
machine.

Details: To enable the details of this specific error message to be viewable on remote machines, please create a <customE
"mode" attribute set to "Off".

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="Off"/>
    </system.web>
</configuration>
```

Notes: The current error page you are seeing can be replaced by a custom error page by modifying the "defaultRedirect" at

```
<!-- Web.Config Configuration File -->

<configuration>
    <system.web>
        <customErrors mode="RemoteOnly" defaultRedirect="mycustompage.htm"/>
    </system.web>
</configuration>
```

პრობლემა არის ცვლადების ფილტრაციის არ ქონა, ჩვენს აქ არ ვწერთ დეტალურად ხარვეზის შესახებ, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ინფორმაციას;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი არ შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს. მას არ აქვს მნიშვნელოვანი მოდულები, როგორიც არის დეტალური ძიება, საბეჭდი ვერსია, ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთნ და სხვა.

ასევე უნდა ითქვას, რომ ვებ-გვერდს პრობლემები აქვს უსაფრთხოების კუთხით, რადგან ინფორმაციის გადაცემის დროს არ იფილტრება ცვლადბი;